პროფესორი პაატა კერვალიშვილის დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მივლინების ანგარიში

ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი პაატა კერვალიშვილი 2022 წლის 23-31 ოქტომბერს ლექციების წასაკითხად იმყოფებოდა საბერძნეთის დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტში. მან უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სტუდენტებისა და პროფესორ -მასწავლებებისათვის ჩაატარა ლექციების მოკლე ციკლი ქვანტური საინფორმაციო ტექნოლოგიების, ლაზერული ფიზიკისა და 2D ელექტრონიკის თანამედროვე შედეგებისა და ამოცანების შესახებ. ქვანტური საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის ჩატარებულუ ლექციები მოიცავდა როგორც ქვანტური გამოთვლებისა და კრიპტოგრაფიის საკითხებს, ასევე ქვანტური კომპიუტერის დამზადების პრობლემებსა და პერსპექტივებს.

უნივერსიტეტის რექტორთან პროფესორ კალდისთან

დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ პანაიოტის კალდისთან გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც გადაწყდა ჩამოყალიბდეს ერთობლივი ჯგუფი ევროკავშირის კონკურსში სამეცნიერო პროექტის „2D მასალების მიღების ლაზერულ-პლაზმური მეთოდის განვითარება“ წარსადგენად.

პროფ. პაატა კერვალიშვილი ლექციის დროს

სტუდენტებთან

პროფესორებთან